

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი

2018 წლის I კვარტალში აჭარის რეგიონში დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი მაჩვენებელი (-24.0 მლნ აშშ დოლარი), რაც ძირითადად უკავშირდებოდა უძრავი ქონების სექტორში ჰოლანდიური წარმოშობის კომპანიის მიერ სააქციო კაპიტალის წილის დათმობას რეზიდენტი პირის სასარგებლოდ, კერძოდ, საუბარია 39.3 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კაპიტალზე. ასევე, აღსანიშნავია ენერგეტიკის სფეროში თურქული კომპანიის მიერ 21.1 მლნ აშშ დოლარის ოდენობის სასესხო ვალდებულების დაფარვა, რამაც საბოლოო ჯამში მოგვცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უარყოფითი სალდო.

2018 წლის II კვარტალში დაფიქსირდა დიდი ოდენობით ახალი ინვესტიციების შემოდინება, წინა კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში აღნიშნული მაჩვენებელი 154%-ით გაიზარდა და 111.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 65.3 მლნ აშშ დოლარის ახალი თურქული ინვესტიცია მშენებლობის სექტორში.

2018 წლის III და IV კვარტალებში არ დაწყებულა მსხვილი საინვესტიციო პროექტები, შესაბამისად, II კვარტალთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი შემცირდა. ახალი ინვესტიციების მოცულობამ III კვარტალში 18.6, ხოლო IV კვარტალში 19.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

2019 წლის I კვარტალში აჭარის რეგიონში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ შეადგინა 26.1 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 209%-ით. აღნიშნულ პერიოდში მოზიდული კაპიტალის ჯამური მაჩვენებელი იყო 64.2 მლნ აშშ დოლარი, რაც შემცირდა რეზიდენტების მიერ სააქციო კაპიტალის გადაფორმების უარყოფითი მაჩვენებლით (-30.0 მლნ აშშ დოლარი) და რეინვესტიციის უარყოფითი მოცულობით (-8.1 მლნ აშშ დოლარი). კერძოდ, უძრავი ქონების სექტორში მალტური წარმოშობის კომპანიის მიერ მოხდა სააქციო კაპიტალის 35.1 მლნ აშშ დოლარის ოდენობის წილის დათმობა რეზიდენტი პირის სასარგებლოდ.

2019 წლის II კვარტალში FDI-ის მაჩვენებელმა შეადგინა 22.5 მლნ აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (100.1 მლნ აშშ დოლარი) 77%-ით ჩამორჩება, თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2019 წლის 6 თვის ჯამური მაჩვენებელი წინა წლის წლიური მაჩვენებლის 64%-ს შეადგენს, ანუ შესრულება 50%-ს აღემატება, რაც იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად მიმდინარე კლებისა, ზრდის ტრენდი შენარჩუნებულია.

მლნ აშშ დოლარი	2018 - I	2018 - II	2018 - III	2018 - IV	2018	2019 - I	2019 - II	2019 – 6 თვე
ახალი ინვესტიცია	43.8	111.3	18.6	19.5	176.1	71.1	33.8	104.9
სააქციო კაპიტალის წილის გადაფორმება რეზიდენტზე	-40.3	-0.7	-0.2	-2.0	-40.4	-35.8	-3.1	-38.9
სავალო ვალდებულებების დაფარვა	-22.3	-2.1	-4.6	-11.8	-26.3	-1.2	-2.9	-4.1
რეინვესტიცია (+)*	12.3	15.8	14.3	16.3	43.6	12.6	19.2	31.8
რეინვესტიცია (-)*	-17.6	-24.3	-25.4	-25.4	-77.5	-20.7	-24.3	-45.0
FDI	-24.0	100.1	2.7	-3.2	75.6	26.1	22.5	48.6

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის II კვარტლისთვის დაფიქსირდა წინა კვარტლებთან შედარებით ყველაზე მაღალი რეინვესტიციების მაჩვენებელი (19.2 მლნ აშშ დოლარი), რაც პოზიტიურ მოლოდინებს აჩენს. განსაკუთრებით ენერგეტიკის სექტორში შეინიშნება დადებითი ძვრები, კერძოდ, 2019 წლის 6 თვის მონაცემებით აღნიშნულ სექტორში განხორციელებული ახალი ინვესტიციები შეადგენს 77.8 მლნ აშშ დოლარს, რაც ახალი ინვესტიციების 74%-ია.

2019 წლის 6 თვის რეინვესტიციის მაჩვენებელი (31.8 მლნ აშშ დოლარი) წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (28.1 მლნ აშშ დოლარი) 13%-ით აღემატება.

* რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.